დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2023 წლის 28 დეკემბრის N13 და
წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 29 დეკემბრის N5 სხდომის გადაწყვეტილებებით

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის
ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის**

დებულება

მუხლი 1. ფაკულტეტის საქმიანობის საფუძვლები

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას სხვადასხვა სპეციალობებში და მათთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას, ახორციელებს კვლევით საქმიანობას და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართულ სხვა საქმიანობას.

2. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის სახელწოდებაა - ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი ხოლო ინგლისულ ენაზე - FACULTY OF BUSINESS, TECHNOLOGY AND EDUCATION. ფაკულტეტს გააჩნია უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ბლანკი და ბეჭედი.

3. ეს დებულება განსაზღვრავს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის- ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის (შემდგომში - „ფაკულტეტი“) მისიას, სტრატეგიულ თვალთახედვას, საქმიანობის ძირითად პრინციპებს, მიზნებს, ამოცანებს, საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, სტრუქტურას, მართვის ორგანოებს და მათ უფლება-მოვალეობებს, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის პერსონალის მართვის, საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო და სხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების წესსა და უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტის წესდებით მისთვის მიკუთვნებულ სხვა საკითხებს.

4. ფაკულტეტის საქმიანობა ეფუძნება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონს, უნივერსიტეტის წესდებას, ნორმატიულ და ადმინისტრაციულ აქტებსა და უნივერსიტეტში მოქმედ წესებსა და რეგულაციებს.

5. ფაკულტეტის მისამართია: ქ. თბილისი, 0162, ჩოლოყაშვილის გამზ. 3/5.

6. ფაკულტეტის დებულებას დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებს დასამტკიცებლად წარუდგენს ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საბჭო.

მუხლი 2. ფაკულტეტის მისია, მიზნები და საქმიანობა
2.1. ფაკულტეტის მისია და მიზნებია:

ა) განავითაროს, მართოს და განახორციელოს საბაკალავარო, სამაგისტრო, სადოქტორო, ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო და კანონმდებლობით ნებადართული სხვა საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე მომზადების ან/და გადამზადების საგანმანათლებლო, სატრენინგო და სასერტიფიკატო პროგრამები/კურსები;
ბ) ხელი შეუწყოს ფაკულტეტის შესაბამისი პროფილის საუკეთესო თანამედროვე სამეცნიერო და გამოყენებითი პრაქტიკის დანერგვას და განვითარებას;
გ) დააკმაყოფილოს პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნა და უზრუნველყოს სწავლის, სწავლების და სამეცნიერო კვლევის აკადემიური თავისუფლება;
დ) სტუდენტებისათვის გამორჩეული აკადემიური გარემოს შექმნა, რომელიც მათ თავიანთი პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენასა და კვალიფიციურ სპეციალისტებად ჩამოყალიბების პროცესში დაეხმარება;
ე) სწავლების სხვადასხვა საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა) შეთავაზებული მრავალფეროვანი, ცვალებად გარემოსა და შრომის ბაზარზე მორგებული სასწავლო პროგრამები დაეფუძნება უახლეს კვლევით მიღწევებზე დამყარებულ ემპირიულ ცოდნასა და პრაქტიკული ხასიათის აქტივობებს. ეს ყოველივე კი ხელს შეუწყობს სტუდენტების თეორიული ცოდნის გაღრმავებას, პრაქტიკული უნარ-ჩვევებისა და ზოგადი კომპეტენციების გამომუშავებას, ინტელექტუალური შესაძლებლობების, კრეატიული აზროვნებისა და არგუმენტირებული მსჯელობის განვითარებას.
ვ) საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანი სამეცნიერო ღირებულების კვლევების განხორციელება, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზაციებში მართვის პროცესის გაუმჯობესებას;
ზ) სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებთან, კვლევით ინსტიტუტებთან და ორგანიზაციებთან ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტების ფარგლებში აქტიური თანამშრომლობა. ასევე, აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტების ადგილობრივი და საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობა/ უზრუნველყოფა.

2.2. თავის მიზნების შესასრულებლად ფაკულტეტი:
ა) სთავაზობს სტუდენტებს მაღალი დონის პროგრამებისა და კურსების არჩევანს და აძლევს მათ შესაძლებლობას, მიიღონ მრავალპროფილიანი განათლება;
ბ) ხელს უწყობს სწავლისა და სწავლების განვითარებას კვალიფიციური აკადემიური პერსონალის, სპეციალისტების მოწვევით და ხელშეწყობით, საერთაშორისო კვლევითი პროგრამების მხარდაჭერით, რეიტინგული პუბლიკაციების მომზადების ხელშეწყობით;
გ) ქმნის სტუდენტებისათვის სწავლის, კვლევისა და თვითგანვითარებისათვის კომფორტულ გარემოს მათი ფართო ჩართვით უნივერსიტეტის საზოგადოებრივ და სამეცნიერო საქმიანობაში;

დ) მისიას ახორციელებს კვალიფიციური აკადემიური პერსონალის, სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენების, მრავალფეროვანი სასწავლო პროგრამებისა და ორიგინალური კვლევების საფუძველზე;
ე) ახდენს თანამედროვე დონის მართვის საინფორმაციო სისტემების კონცეპტუალიზაციას და დანერგვას;
ვ) უზრუნველყოფს სასწავლო კურსების, მოდულების, პროგრამების მომზადებას და განხორციელებას სათანადო სამეცნიერო დისციპლინებში სწავლების - და საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურისათვის;
ზ) ინიცირებას უკეთებს და ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით პროექტებს სათანადო სამეცნიერო დისციპლინებში;
თ) ხელს უწყობს სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საქმიანობასა და სამეცნიერო პროექტების განხორციელებაში;
ი) ატარებს სამეცნიერო კონფერენციებს, სემინარებს, საჯარო ლექციებს, სხვა ღონისძიებებს, სადაც დაინტერესებულ საზოგადოებას აცნობს მისი სამეცნიერო კვლევის შედეგებს და ახდენს აქტუალური საკითხების მიმოხილვას;
კ) თანამშრომლობს ადგილობრივ კერძო, საჯარო თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან სტუდენტების კვლევით პროექტებში ჩართვის ხელშეწყობის, მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაღრმავებისა თუ დასაქმების მიზნით;
ლ) კავშირებს ამყარებს საქართველოს და სხვა ქვეყნების წამყვან აკადემიურ ცენტრებთან როგორც ერთჯერადი პროექტების, ისე გრძელვადიანი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების განსახორციელებლად;
მ) ატარებს ღონისძიებებს ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის მუშაობის და მიღწევების საზოგადოებისთვის გასაცნობად.
ნ) სასწავლო მიზნების განსახორციელებლად იყენებს მის განკარგულებაში არსებულ მატერიალურ ბაზასთან ერთად, უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულების დაქვემდებარებაში მყოფ მატერიალურ ბაზას და ქონებას, მათ შორის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების და ცენტრების მატერიალურ ბაზას, კვლევით და სასწავლო ლაბორატორიებს, სახელოსნოებს, სალექციო აუდიტორიებს, კომპიუტერულ კლასებს, ბიბლიოთეკას.

2.3. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის **საქმიანობის ძირითადი პრინციპები ეფუძნება შემდეგ ფასეულობებს:**

ა) ლიბერალური განათლების პრინციპებს;
ბ) ხარისხიანი განათლების მნიშვნელობას;
გ) აკადემიური თავისუფლების პრინციპებს;
დ) უწყვეტი განათლების პრინციპებს;
ე) განსხვავებულ შეხედულებებს და დივერსიფიცირებულ მიდგომებს;
ვ) ნიჭიერი სტუდენტებისა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მხარდაჭერას;
ზ) გუნდურობის და ერთობლივი ძალისხმევით მიზნის მიღწევას;
თ) უსაფრთხო, ინკლუზიურ, ღია და ყველასთვის მისაღებ სასწავლო და სამუშაო გარემოს;
ი) ინტელექტის მუდმივი განვითარება და ახალი ცოდნის შექმნა/გაზიარება;
კ) საერთაშორისო აღიარების მოპოვება;
ლ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლების პროცესთან დაკავშირებით უნივერსიტეტის რეგულაციების ქმედითი

მხარდაჭერა, შშმ და სსმ პირებისთვის სრულფასოვან განათლებაზე ხელმისაწვდომობისა და თანაბარუფლებიანი სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით.

მუხლი 3. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სტრუქტურა, მართვის ორგანოები, პერსონალი და მათი უფლება-მოვალეობები

1.ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სტრუქტურა მოიცავს:

ა) ფაკულტეტის მართვის ორგანოებს - ფაკულტეტის საბჭო, ფაკულტეტის დეკანი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;

ბ) ფაკულტეტის მიერ შექმნილ დამხმარე ადმინისტრაციულ ერთეულებს;

გ) ფაკულტეტთან არსებულ კვლევით, საგანმანათლებლო, სასწავლო მიზნებისთვის შექმნილ ცენტრებს, ინსტიტუტებს და სხვა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს;

დ) ფაკულტეტთან შეიძლება არსებობდეს ასევე დამოუკიდებელი სამეცნიერ-კვლევითი ერთეულები.

2. მართვის ორგანოების არჩევა ხდება უმაღლესი განათლების შესახებ კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და უნივერსიტეტში მოქმედი საარჩევნო კოდექსის შესაბამისად.

მუხლი 4. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საბჭო:

1. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის წარმომადგენლობითი უმაღლესი ორგანოა ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საბჭო;

2. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) იმ შემთხვევაში, თუ აკადემიური პერსონალის რაოდენობა არის 30 ან 30-ზე ნაკლები, საბჭოში შედის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი, დამოუკიდებელი სამეცნიერო - კვლევითი ერთეულის სამეცნიერო თანამდებობის მქონე ყველა პირი და ამავე ფაკულტეტის სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ ფაკულტეტის/სკოლის საბჭო არის არჩევითი, ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს შემადგენლობაში შედიან:

აკადემიური პერსონალი შემდეგი წესის დაცვით:

ბ.ა. ფაკულტეტიდან/სკოლიდან, სადაც აკადემიური პერსონალის რაოდენობა არის 30-დან და 120-ის ჩათვლით, ფაკულტეტის/სკოლის საბჭოში შედის ყოველი 10 აკადემიური პერსონალიდან არჩეული 2 წარმომადგენელი.

ბ.ბ. ფაკულტეტიდან/სკოლიდან, სადაც აკადემიური პერსონალის რაოდენობა არის 120-ზე მეტი, ფაკულტეტის/სკოლის საბჭოში შედის ყოველი 10 აკადემიური პერსონალიდან არჩეული 1 წარმომადგენელი.

ბ.გ.დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულიდან არჩეული თითო წარმომადგენელი;

ბ.დ, სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.

3.სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა შეადგენს საბჭოს შემადგენლობის 1/4 მეოთხედს. საჭიროების შემთხვევაში დამრგვალება ხდება სტუდენტთა სასარგებლოდ

4. იმ შემთხვევაში, თუ აკადემიური პერსონალის რაოდენობა 10-ეულზე ნაკლებია, ხდება რაოდენობის დამრგვალება. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ფაკულტეტის

დეკანი ავტომატურად შედის ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში ამ პუნქტით გათვალისწინებულ რაოდენობაში ჩაუთვლელად;
5. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს მოწვევა ხდება დეკანის ან საბჭოს წევრთა ერთი მესამედის ინიციატივით.
6.ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობს ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანი;
7. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, დამსწრეთა უმრავლესობით, გარდა კანონითა, წესდებითა და ამ დებულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
8. საბჭოს წევრებს წინასწარ უნდა ეცნობოთ სხდომის ჩატარების დრო, ადგილი და დღის წესრიგი;
9. საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხი წერილობით (წარდგინების ფორმით) უნდა წარედგინოს წინასწარ დეკანს, ამის შემდეგ საკითხი განიხილება ფაკულტეტის საბჭოს უახლოეს სხდომაზე. ფაკულტეტის საბჭოსთვის წარსადგენი საკითხების საჭიროებას განსაზღვრავს დეკანი გარდა იმ საკითხებისა რომელიც განეკუთვნება ფაკულტეტის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას;
10. ფაკულტეტის საბჭოს ყველა სხდომაზე დგება სხდომის ოქმი. ოქმში უნდა იყოს მითითებული:

- მართვის ორგანოს დასახელება;
- სხდომის ჩატარების დრო და ადგილი;
- სხდომის ოქმის რიგითი ნომერი;
- დამსწრე წევრების ვინაობა და დასწრების ფურცელი;
- განხილვის საგანი;
- კენჭისყრის შედეგები;
- მიღებული გადაწყვეტილებები.

11. ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი. ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმები ილუქება და ინახება მასზე პასუხისმგებელ პირთან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვადით.

მუხლი 5. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება

1. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საბჭო:

ა) თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანს;
ბ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;
გ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სტრუქტურას, ფაკულტეტის დებულებას, დებულებაში შესატან დამატებებს/ცვლილებებს და აკადემიური საბჭოს თანხმობით დასამტკიცებლად წარედგენება წარმომადგენლობით საბჭოს;
დ) ირჩევს ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს;
ე) იხილავს და ამტკიცებს ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების დებულებებს და წარუდგენს აკადემიური საბჭოს, ხოლო აკადემიური საბჭოს თანხმობით წარედგინება წარმომდგენლობით საბჭოს;

ვ) უფლებამოსილია, ფაკულტეტის დეკანის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და დეკანისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, წევრთა არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით განიხილოს დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. გადაწყვეტილება დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე მიიღება ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. დეკანი ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრებში არ მონაწილეობს. ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება არ იწვევს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას;

ზ) ახორციელებს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებითა და ამ დებულებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას;

თ) ქმნის დარგობრივ კომისიებს სადოქტორო საფეხურზე მიღების, სწავლებისა და პროგრამის დასრულების უზრუნველსაყოფად;

ი) განსაზღვრავს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტს;

კ) შეიმუშავებს და ამტკიცებს სადოქტორო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო დოკუმენტაციას და საჭიროების შემთხვევაში წარუდგენს შესაბამის სტრუქტურებს დასამტკიცებლად.

2.სკოლის საბჭო უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი მაინც;

3.ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით, გარდა უნივერსიტეტის წესდებითა და კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისებისა.

მუხლი 6. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანი

1. **ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანი**:

ა) არის ფაკულტეტის საბჭოს მიერ ოთხი წლის ვადით არჩეული ფაკულტეტის დეკანი, რომელიც უნდა იყოს ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. ვადაში ითვლება ასევე მისი დეკანის მოვალეობის შემსრულებლად ყოფნის პერიოდიც, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ბ) უზრუნველყოფს ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეფექტიანად წარმართვას;

გ) ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის განვითარების გეგმას, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

დ) შეიმუშავებს და ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია წარმომადგენლობითი საბჭოს, აკადემიური საბჭოსა და ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს-ბრძანებებს, გასცემს ცნობებსა თუ ფაკულტეტთან დაკავშირებულ სხვა სახის ინფორმაციას;

ზ) თავმჯდომარეობს ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს;

თ) საქართველოს კანონმდებლობისა და წესდების შესაბამისად პასუხისმგებელია ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ბიუჯეტის მიზნობრივ გამოყენებაზე;

ი) ახორციელებს ამ დებულებით, უნივერსიტეტის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

კ) ირჩევს და ამტკიცებს თემატური ჯგუფისა და პროგრამის ხელმძღვანელებს;
ლ) თავის უფლებამოსილებათა განხორციელების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში წარდგინებით მიმართავს რექტორს და წარუდგენს ამავე ფაკულტეტზე/სკოლაში დასაქმებულ პირს მოვალეობის დროებით შემსრულებლად.

მუხლი 7. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:

1.ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:

ა) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიზანია სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის რეგულარული და სისტემური შეფასება;
ბ) სამსახური მოქმედებს შესაბამისი კანონმდებლობის, კანონქვემდებარე აქტების, უნივერსიტეტის წესდების, უნივერსიტეტში არსებული წესებისა და ფაკულტეტის დებულების მიხედვით;
გ) უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურთან თანამშრომლობით, ადგენს ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმებს და ამ კრიტერიუმების საფუძველზე ახდენს სასწავლო და სამეცნიერო პროცესების მონიტორინგს და შეფასებას;
დ) ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემა და სხვა) გამოყენებისა და ავტორიზაციის/აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადების გზით;
ე) ამყარებს კავშირს და თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნებისა და მათი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის სამსახურებთან. თანამშრომლობის მიზანია ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმების შემუშავება და მათი დანერგვის მეთოდოლოგიის ჩამოყალიბება;
ვ) შეიმუშავებს წინადადებებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესების ოპტიმიზაციის მიზნით საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკების გათვალისწინებით;
ზ) ხვეწს, მოდიფიცირებას უკეთებს და ამოწმებს ფაკულტეტის პროგრამებს, ქმნის სტუდენთა პროგრამების/ გავლილი საგნების თავსებადობის დასკვნებს, ადასტურებს მისანიჭებელი/მინიჭებული კვალიფიკაციის/ხარისხის სისწორეს.
უზრუნველყოფს ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის თვითშეფასებას აკრედიტაციის პროცესისთვის;
თ) რეგულარულად აცნობს თავისი მუშაობის შედეგებს ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს;
ი) ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საბჭოსა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წინაშე.

მუხლი 8. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი:

1. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი:

ა) აირჩევა ფაკულტეტის საბჭოს მიერ 4 წლის ვადით, რომელიც უნდა იყოს ფაკულტეტის საბჭოს წევრი პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. ფაკულტეტის საბჭო განსაზღვრავს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელისათვის წასაყენებელ მოთხოვნებს და აცხადებს არჩევნებს. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს ვადაში ეთვლება ასევე მისი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად ყოფნის პერიოდიც, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
ბ) რეგულარულად აცნობებს მუშაობის შედეგებს ფაკულტეტის საბჭოს;
გ) ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წინაშე.

მუხლი 9. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულები

1. თავისი მიზნების განსახორციელებლად ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს თავის შემადგენლობაში შეუძლია შექმნას სტრუქტურული ერთეულები: სკოლები, ცენტრები, ლაბორატორიები, სამეცნიერო კვლევითი ერთეულები, დამხმარე სტრუქტურული ერთეულები, რომელიც ეხმარება ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის მიზნების მიღწევაში და იზიარებს ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საქმიანობის ძირითად პრინციპებს;
2. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულები ხელმძღვანელობენ უნივერსიტეტის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების შესაბამისად.
3. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის შემადგენლობაში შედის შემდეგი დეპარტამენტი-სკოლები:

- <u>ბიზნესის სკოლა</u>
- <u>ტექნოლოგიის სკოლა</u>
- <u>განათლების სკოლა</u>

4. ზემოთ აღნიშნული სკოლები, თავის მხრივ, უზრუნველყოფენ თავიანთი მიმართულებების ფარგლებში სტუდენტთა მომსახურებას.
5. ზემოთ აღნიშნული სკოლების ძირითადი ფუნქციებია:
ა) ფაკულტეტზე შემოსული კორესპოდენციის განხილვა/რეაგირება თავისი კომპეტენციის ფარგლებში;
ბ) ფაკულტეტის დეკანის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;
გ) სტუდენტებისათვის კომპეტენციის ფარგლებში კონსულტაციების გაწევა;
დ) ფაკულტეტის სტუდენტთათვის ფაკულტეტის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე ცნობების მომზადება;
ე) საბაკალავრო/სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე ჩარიცხვის მსურველ პირთა რეგისტრაციის გავლის, შესაბამის დოკუმენტების მიღების-განხილვის და მათთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების უზრუნველყოფა;
ვ) შიდა და გარე მობილობის პროცესის ორგანიზება კომპეტენციის ფარგლებში;
ზ) სტუდენტებისთვის სტატუსის აღდგენის, შეჩერების, შეწყვეტის, აკადემიური შვებულების შესახებ წარდგინების ან/და ბრძანების/წერილის პროექტის მომზადება;
თ) კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე ფაკულტეტის საბჭოსთვის განსახილველად შესაბამისი სიების მიწოდება, ხოლო ფაკულტეტის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდგომ,

უნივერსიტეტში მოქმედი წესების დაცვით, საინფორმაციო ბარათების მომზადება და მიწოდება შესაბამისი სამსახურისთვის;
ი) სტუდენტთა პირადი საქმეების წარმოება და უნივერსიტეტში დაცული წესებით მისი უნივერსიტეტის არქივისთვის გადაცემა.
კ) უნივერსიტეტის წესდებით, მათი დებულებებითა და უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციებით განსაზღვრული სხვა სამუშაოები.

მუხლი 10. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის პერსონალი

1. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის პერსონალია: აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე, კვლევითი პერსონალი და მოწვეული სპეციალისტები.
2. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისაგან და ასისტენტებისგან. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნება პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ პროფესორი;
3. ადმინისტრაციული პერსონალია: ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანი და ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.;
4. კვლევითი პერსონალი შედგება მკვლევარებისაგან. მკვლევრების შემადგენლობას მიეკუთვნება მკვლევარი, ასოცირებული მკვლევარი დაასისტენტ მკვლევარი.
5. ფაკულტეტის დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება საშტატო ნუსხით გათვალისწინებული ფაკულტეტის საქმიანობისთვის აუცილებელი სხვა პირები;
6. ფაკულტეტის მოწვეულ პერსონალს მიეკუთვნება - მოწვეული სპეციალისტი - მასწავლებელი. მოწვეული პედაგოგი უფლებამოსილია გაუძღვეს სალექციო, სასემინარო და პრაქტიკულ სამუშაოებს აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე.
7. ფაკულტეტი უფლებამოსილია აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები ან კვლევითი პერსონალი სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით.
8. ფაკულტეტი უფლებამოსილია უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებული დამხმარე პერსონალის გარდა, გარკვეულ ამოცანათა შესასრულებლად შტატგარეშე დამხმარე პერსონალის სახით, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები. შტატგარეშე დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღებისა და გათავისუფლების წესს, მათ შრომის ანაზღაურების წესსა და ოდენობას განსაზღვრავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

მუხლი 11. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესი
11.1. სასწავლო პროცესი:
ა) სასწავლო პროცესი ხორციელდება უმაღლესი განათლების შესახებ კანონის, უნივერსიტეტის წესდების, ამ დებულებისა, მარეგულირებელი ნორმებისა და სასწავლო პროგრამის – კურიკულუმის მიხედვით სწავლების ყველა საფეხურზე;
ბ) სასწავლო პროცესის წარმართვისას დაცულია სრული აკადემიური თავისუფლება, რაც გულისხმობს კურსის ხელმძღვანელის თავისუფალ არჩევანს სასწავლო მეთოდების გამოყენების, ლიტერატურის შერჩევის, სასწავლო კომპონენტების განაწილების, სტუდენტთა შეფასების და სწავლების პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებთან მიმართებაში;

გ) სასწავლო პროცესში ჩართულია უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მოწვეულ იქნან დამატებით სპეციალისტები;
დ) მაგისტრატურაში მიღება და მასთან დაკავშირებული დარგობრივი და სააპელაციო კომისიების შექმნა, გამოცდა/გამოცდების კრიტერიუმების დადგენა ხორციელდება ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით ან დეკანის ბრძანებით;
ე) დარგობრივი კომისიები საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ატარებენ ასევე საუნივერსიტეტო გამოცდას მაგისტრატურაში ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე სწავლის გაგრძელების მსურველთათვის, აფასებენ სამაგისტრო ნაშრომებს.
ვ) დოქტორანტურა ფუნქციონირებს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების და სასწავლო პროგრამების მიხედვით;
ზ) სადოქტორო საფეხურზე სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის მიზნით ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს მიერ იქმნება დარგობრივი კომისიები, რომელთა ფუნქცია და შემადგენლობა დადგენილია ამ დებულებითა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით.
თ) დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება ხდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ შექმნილი სადისერტაციო საბჭოს მიერ.
ი) სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის მიზნით ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს მიერ იქმნება სათათბირო ორგანო - თემატური ბლოკი/ბლოკები, რომლის წევრები არიან ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სამივე საფეხურის პროგრამების საგნობრივი მიმართულებების პროფესორები ან მოწვეული პედაგოგები, რომლებიც ხელმძღვანელობენ კონკრეტული საგნის სწავლებას, თითოეულ თემატურ ბლოკს/საგანს ყავს ხელმძღვანელი.
კ) სათათბირო ორგანოს ხელმძღვანელობს დეკანი, სათათბირო ორგანო განიხილავს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს გადაწყვეტილებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საჭიროების შემთხვევაში წარუდგენს საკითხებს ფაკულტეტის საბჭოს.
ლ) სათათბირო ორგანოს წევრები კოორდინაციაში არიან ასევე პროგრამის ხელმძღვანელებთან, უწევენ რეკომენდაციებს პროგრამის განვითარების კუთხით;
მ) სათათბირო ორგანომ შესაძლოა მიიღოს გადაწყვეტილება სასწავლო და კვლევით პროცესთან დაკავშირებული ისეთ საკითხებზე, რომლებიც არ განეკუთვნება სხვა კოლეგიური ორგანოს ან სტუქტურული ერთეულის კომპეტენციას.

11.2. სამეცნიერო-კვლევითი პროცესი:

ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის მკვლევარები ახორციელებენ ეკონომიკის, ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების სფეროების და მომიჯნავე დარგების ინტერდისციპლინარულ ანალიტიკურ და გამოყენებით სამეცნიერო კვლევას. თავიანთ მისიას მკვლევარები ასრულებენ ეკონომიკისა და ბიზნესის გარემოსათვის პრიორიტეტული ამოცანების იდენტიფიცირებით, შესწავლითა და რეკომენდაციების შემუშავებით. მათ ასევე აქტიური წვლილი შეაქვთ ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროებში განათლების პროცესის სამეცნიერო უზრუნველყოფისა და ცნობიერების ამაღლების პროცესებში. მკვლევარები ასევე უზრუნველყოფენ სამეცნიერო კონფერენციების, სემინარებისა და მრგვალი მაგიდების ორგანიზებას კვლევითი შედეგების გაზიარების მიზნით.

მუხლი 12. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ქონება და ბიუჯეტი

1. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი სარგებლობს უნივერსიტეტის ქონებით, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.
2. ფაკულტეტის დაფინანსების წყაროებია: ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების შემოსავლები, - სამეცნიერო და/ან სხვა სახის გრანტები, საბიუჯეტო დაფინანსება, შემოწირულობანი, სამეურნეო საქმიანობით მიღებული და სხვა შემოსავლები, რომლებიც კანონით არის ნებადართული.
3. ფაკულტეტის ფინანსების განკარგვა რეგულირდება უნივერსიტეტის წესდებით, საქართველოს კანონმდებლობით და წინამდებარე დებულებით.

მუხლი 13. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ფაკულტეტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით, უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად და კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 14. დებულებაში ცვლილებებისა და/ან დამატებების შეტანა

დებულებაში ცვლილებებისა და/ან დამატების შეტანა მტკიცდება ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს დასაბუთებული გადაწყვეტილებით, რის საფუძველზეც დეკანის წარდგინებით ცვლილება/დამატება შესათანხმებლად და დასამტკიცებლად წარედგინება აკადემიური საბჭოს. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება წარედგინება წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილების მისაღებად.